

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივები  
საქართველოს საჯარო მმართველობაში.

ირაკლი ხუჭუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე

მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი ხუჭუა

28.06.2022

## აბსტრაქტი

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საჯარო სექტორში აქტიურად ინერგება ხელოვნური ინტელექტი, რაც ხელს უწყობს პროცესების აჩქარებას, ავტომატიზაციას, ამცირებს შეცდომებს, რუტინული დავალების შესრულებაზე დროის, ენერჯის, ადამიანური და ფინანსური რესურსის დახარჯვის მაგივრად, რესურსები ნაწილდება მეტად რთულ დავალებებზე. საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საკითხი ნაკლებად არის განხილული როგორც აკადემიურ წრეებში, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მიერ. ამ ნაშრომის მიზანია განსაზღვროს, რამდენად შეუძლია ხელოვნური ინტელექტის დანერგვას და განვითარებას საქართველოს საჯარო სექტორის ოპტიმიზაცია.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევის მიმართულებით, ჩატარდა ოთხი სიღრმისეული ინტერვიუ: სამი საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, ხოლო ერთი- ხელვნიური ინტელექტის სპეციალისტთან, რომელსაც ასევე გამოცდილება აქვს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მუშაობის. რაოდენობრივი კვლევის მიმართულებით დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც ნაშრომამდე არსებული კვლევების ფარგლებში იყო შეგროვებული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში შესაძლებელია საჯარო სექტორში პროცესების ოპტიმიზაცია ხელოვნური ინტელექტის დანერგვით. საქართველოს საჯარო სექტორში უკვე დაგროვებულია საკმარისი მონაცემები, რომლის დამუშავების შედეგადაც, შესაძლებელია პროცესების მნიშვნელოვნად აჩქარება და გამარტივება. თუმცა, არ არსებობს ერთიანი ხედვა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, სტრატეგია, მონაცემთა ბაზები არ არის მოწესრიგებული, საქართველოს კანონმდებლობაც ვერ პასუხობს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

## **Abstract**

In the developed countries of the world, artificial intelligence is actively introduced in the public sector, which helps to speed up processes, automate, reduce errors, instead of spending time, energy, human and financial resources on routine tasks, resources are allocated to more complex tasks. The issue of introducing artificial intelligence in the Georgian public sector is less discussed in academic circles, as well as in the governmental and non-governmental sector. The aim of this paper is to determine the extent to which the introduction and development of artificial intelligence can optimize the Georgian public sector.

Both qualitative and quantitative methods are used in the research. In the field of qualitative research, four in-depth interviews were conducted: with three public sector representatives and one with an artificial intelligence specialist who also has experience working in the field of artificial intelligence in the public sector. In terms of quantitative research, quantitative data was processed, which was collected within the framework of pre-existing research.

As a result of the research, it was revealed that in Georgia it is possible to optimize the processes in the public sector by introducing artificial intelligence. Sufficient data has already been accumulated in the public sector of Georgia, as a result of which it is possible to significantly accelerate and simplify the processes. However, there is no common vision regarding artificial intelligence, strategy, databases are not regulated. Georgian legislation does not meet the challenges related to artificial intelligence.